



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ბრძანება

№01/25-თ

3 ოქტომბერი 2013 წ.

შპს დაზღვევის კომპანია „მობიუსის“ გაკოტრების საქმის წარმოების დასრულების თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში 2013 წლის 20 მარტის N 354-II ს ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების, ამავე კანონის 33^ე მუხლის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის N126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ 1-ლი და მე-17 მუხლების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. დასრულებულად იქნას გამოცხადებული შპს დაზღვევის კომპანია „მობიუსის“ გაკოტრების საქმის წარმოება.
2. შპს დაზღვევის კომპანია „მობიუსის“ მოუკითხავი ფულადი სახსრები და ქონება ჩაითვალოს მოუკითხავ რესურსად და გადავიდეს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მფლობელობაში მესაკუთრის გამოვლენის მიზნით.
3. მოხდეს შპს დაზღვევის კომპანია „მობიუსის“ ამოღება შესაბამისი რეესტრიდან.
4. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის

სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და წარედგინოს შპს დაზღვევის კომპანია „მოზიუსის“ შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს.

5. აღნიშნული ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. აღნიშნული ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლაშა ნიკოლაძე



სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი